ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1534216

ნომერი: AR1251404

თარიღი : 17.09.2014

გაცემის თარიღი : 10.10.2014

გაცნობის თარიღი : 10.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

ორგანიზაცია:
- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიისსსიპ– თბილისისარქიტექტურისსამსახურის04/08/2014წ. #1418548გადაწყვეტილებაში ტექნიკურიშეცდომისგასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ– თბილისისარქიტექტურის სამსახურს 09/17/2014წ. #AR1251404 განაცხადით მომართეს ჯემალ მიმინოშვილმა და კამო კოსიანმა და მოითხოვეს ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 04/08/2014წ. #1418548 გადაწყვეტილებით გაცემულ წერილობით თანხმობაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურმა 04/08/2014წ. #1418548 გადაწყვეტილებით დაადასტურა ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა #48ა–ში(საკადასტრო კოდი #01.17.12.060.030) ჯემალ მიმინოშვილის ავტოფარეხისგანთავსების შესაძლებლობა.

განმცხადებლების განმარტებით, 04/08/2014წ. #1418548 გადაწყვეტილების გამოცემისას ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას, ვინაიდან, 07/24/2014წ.AR1239724 განაცხადით წარმოდგენილი ინდივიდუალურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი #140771335, თარიღი: 23.07.2014წ.) თანახმად, ავტოფარეხის მშენებლობის უფლება მიეცა კამო კოსიანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლები ითხოვენ გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დადასტურდეს კამო კოსიანის ავტოფარეხის განთავსების შესაძლებლობა.

სამსახურმა შეისწავლა არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ 04/08/2014წ. #1418548 გადაწყვეტილების გამოცემისას ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04/08/2014წ. #1418548 გადაწყვეტილებაში და დაფიქსირდეს კამო კოსიანის ავტოფარეხისგანთავსების შესაძლებლობა.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04/08/2014წ. #1418548 გადაწყვეტილებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.